**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი  ს ა ბ ჭ ო**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01\51**

ქ. ბათუმი 22 ნოემბერი, 2019 წ

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წლიური საფასურის განსაზღვრის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის №80 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ ს

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის №80 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - ,,ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი“ სწავლის საფასურის წლიური ოდენობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით, კერძოდ:

ა) სასწავლო კომპონენტის (60 კრედიტი) საფასური - 2250 ლარი;

ბ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ხოლო ხელმძღვანელის ჩასატარებელი საათების ოდენობა (სამუშაო დატვირთვა) ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე'' წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით;

გ) ადმინისტრირების საფასური(სამი სასწავლო წლისათვის) - 120 ლარი;

დ) სადისერტაციო საბჭოში დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და საჯარო დაცვის საფასური - 600 ლარი;

ე) საერთაშორისო რეცენზირების საფასური - 400 ლარი.

2. გადაწყვეტილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და შესაბამის საფაკულტეტო სამსახურებს.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,**

**პროფესორი** **დავით ბარათაშვილი**